პროლეტარები ყველა ქვეყნისა, შეუერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 90 (13484) | ხუთშაბათი, 21 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

მიფრინავს „კოსმოსი-115“

საკდესის ცნობა

1966 წლის 20 აპრილს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-115“-ის მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დაგზავნილია სამეცნიერო აპარატურა, რაც განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრის გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,3 წუთი,
მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 294 კილომეტრი,
მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 190 კილომეტრი,
ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც 19,995 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს, ორბიტის ელემენტების ზუსტად განსაზღვრა რადიოსისტემა, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

წინასაარჩევნო აგიტაციას — ფართო გაქანება!

მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრებია მუდმივმოქმედი აგიტპუნქტები, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გააქტიურეს მუშაობა. ახლა არსებული მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების გარდა დამატებით შეიქმნა ამომრჩეველთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ახალი ცენტრები. ეს გასაგებიც არის, რადგან ოთხი წლის მანძილზე, უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების ჟღღდან, ბევრმა ქალაქმა, მუშათა დაბამ, რაიონულმა ცენტრმა გააფართოვა თავისი საზღვრები, შეიქმნა ახალი საცხოვრებელი მასივები.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ახალციხის რაიონში დამატებით გამოყავს 800-მდე აგიტატორი, შეიქმნა ახალი მუდმივმოქმედი აგიტპუნქტებიც. ახლა რაიონის მოსახლეობას ემსახურება ათასზე მეტი აგიტატორი, რომლებიც 28 აგიტპუნქტში არიან გაერთიანებული. ბევრ ახალშექმნილ აგიტპუნქტში მუშაობა გაჩაღდა. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რაიონის ზოგიერთი აგიტპუნქტი კვლავ მოუქნელად მუშაობს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ახალციხის კულტურის სახლთან არსებული მუდმივმოქმედი აგიტპუნქტი, რომელსაც უკანასკნელი ორი-სამი თვის მანძილზე თითქმის არაფერი არ გაუკეთებია.

საფიქრებელი იყო, რომ სალათას ძილს ახლა მაინც დაალწევდნენ თავს ბელოლოთის (ცხინვალის რაიონი) კოლმეურნეობის აგიტატორები. მაგრამ ასე როდი მოხდა. არჩევნების დანიშვნის ჟღღდან მათ ერთი საგაგიტაციო საუბარიც კი არ გაუმართავთ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღონისძიებებზე.

საარჩევნო კამპანიის წარმატება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საგაგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დონესა და გაქანებაზე. ამიტომ მის უკეთ მოწყობაში პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა მიიზიდონ საზოგადოებრივობის ფართო წრეები. მოდგეწეობის განსაკუთრებით ფართო ასპარეზი იშლება აგიტკოლექტივების წინაშე. ისინი მოწოდებული არიან ცოცხალ და კონკრეტულ მაგალითებზე აუხსნან მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია ჩვენს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში მშრომელებს მთელი ძალით უნდა ვუჩვენოთ ნამდვილად სახალხო საბჭოთა დემოკრატია, გამოვამჟღავნოთ მუშაობა და ანტახალხური არსი. აგიტატორებმა ფართოდ უნდა განუმარტონ ამომრჩევლებს ცვლილებანი, რომლებიც შეტანილია არჩევნების დებულებაში, რადგან ისინი მიმართულია ხელისუფლების ორგანოებში მშრომელთა წარმომადგენლობის გაფართოებისაკენ. საბჭოების პრაქტიკულ მოღვაწეობაში მათი აქტივობის ამაღლებისაკენ. ყოველ საუბარში მნიშვნელოვანია განსაკუთრებით გავუსვამთ ხაზი, რომ კომუნისტების მშენებლობის დასახული გეგმების შესრულება უშუალოდ დამოკიდებულია თვითეული მუშის, კოლმეურნის, ინტელიგენტის შემოქმედებითს, მაღალნაყოფიერ შრომაზე.

აუცილებელია ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ გამოვაცოცხლოთ მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების მუშაობა. პარტიის რაიკომებმა და რაიხალხკომების აღმასკომებმა უნდა იზრუნონ ყველა აგიტპუნქტის წესრიგზე მოსაყვანად. პარტიული ორგანიზაციები, აგიტკოლექტივები მით უფრო წარმატებით შეასრულებენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, რაც უფრო მეტ მოკავშირეობრივ შეიტანენ ამომრჩეველთა შორის პოლიტიკური აგიტაციის ფორმებსა და მეთოდებში. ასეთი ფორმები კი ცოტა როდია — ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, მხატვრული თვითმოქმედების წრეების გამოსვლები, კინოფილმების დემონსტრირება.

ამომრჩევლებთან მუშაობა არ უნდა შემოიფარგლოს მარტო აგიტპუნქტების კედლებით. მან ფართო გაქანება უნდა მიიღოს კულტურის სახლებში, კლუბებში, ბიბლიოთეკებში, ნიკულ კუთხეებში, საერთო საცხოვრებლებში, საამქროებში და სამშენებლო მოედნებზე. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში, ამომრჩეველთა ბინებში. მთელი საგაგიტაციო მუშაობა მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ საქმეებს, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებს. მრეწველობის მუშაკებმა მთელი თავიანთი ენერგია უნდა მოახმარონ ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულებას, სოფლის მეურნეობის მშრომელთა ძალები კი უნდა მოხმარდეს მიმდინარე წლის უხვი მოსავლის მიღებას. ეკონომიკის დარგში მომუშავე აგიტატორები მოწოდებულნი არიან მუდმივად, მისაწვდომი ფორმით პროპაგანდა გაუწიონ მოწინავე ხაზარმოო გამოცდილებას. გამედიულად გამაბლონ კრიტიკა, მიაღწიონ საქმის გაუმჯობესებას.

პარტიული კომიტეტები აგიტატორებს მუდმივ და კვალიფიციურ დახმარებას უნდა უწევდნენ. წარმართავდნენ მათს მოღვაწეობას. პარტიული კომიტეტებს ხელმძღვანელები, მუშაკები ხშირად უნდა ხვდებოდნენ აგიტატორებს, ასწავლიდნენ მათ მებრძოლი პოლიტიკური აგიტაციის გამოცდილებას. საჭიროა აგიტატორებისათვის პერიოდულად ვაწყობდეთ სემინარებს, ისინი უნდა შევეიარაღოთ აქტუალური მასალებით, რომლებიც ცხადყოფენ ჩვენი ქვეყნის, რეაპუბლიკის წარმატებებს, სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობას.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები ნამდვილ სახალხო ღღესასწაულად გადაიქცევა, ახალი ძალით დაადასტურებს პარტიისა და ხალხის ერთიანობას, მათს უარყოფ მზადყოფნას იბრძოლონ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებამდე.

ჩვენს ღიად ...

საბჭოთა კავშირ-სირია

ვოლა-პარაკეგა

19 აპრილს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის იუსეფ ზუეინის შეხვედრა და მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის საგარეო, საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი ე. ფ. კოლეზნიკოვი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი ვ. ს. ხეჩინოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემენოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ა. ა. ბაბაკოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. დ. შჩიბორინი.

სირიის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ენრიკეზ ბაჰნუსი, ინფორმაციის, ფულტურისა და ეროვნული ორიენტაციის მინისტრი ჯამილ შეია, თავდაცვის მინისტრი, ლეგენერალი ჰაფეზ ასადი, ეკონომიკის მინისტრი ასევე ბუსადი, სირიის არაბთა რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში სალაჰ ედ-დინ თარაზი.

მოლაპარაკების დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ გითარებაში მიმდინარეობდა, განხილული ორივე მხარისათვის საინტერესო საბჭოთა კავშირ-სირიის ურთიერთობის განვითარების საკითხები და აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

20 აპრილს კრემლში გაგრძელდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან იუსეფ ზუეინთან.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც გულთბილობის, მეგობრობის გითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხების განხილვა. (საკდესი).

19 აპრილს სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის იუსეფ ზუეინის პატივსაცემად.

პრემიერ-მინისტრთან ერთად საუზმეზე იყვნენ სირიის მთავრობის დელეგაციის წევრები და სირიის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ: ვ. ნ. ნოვიკოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ტ. მაზუროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. კირილინი, ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები და სხვა ოფიციალური პირები.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ გითარებაში ჩაიარა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა და სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა იუსეფ ზუეინმა წარმოთქვეს სიტყვები. (საკდესი).

გ. დ. ჯავახიშვილი ესაუბრა დიპლომატებს

20 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა მიიღო სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურების ჯგუფი.

გ. დ. ჯავახიშვილი გულთბილად მიეგებოდა დიპლომატებსა და მათი ოჯახების წევრებს, გააცნო მათ რესპუბლიკის ისტორია, ეკონომიკა და კულტურა, ახალ ხუთწლედში რესპუბლიკის შემდგომი განვითარების პერსპექტივები. სტუმრებმა მისცეს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებზეც მიიღეს ამომწურავი პასუხები.

საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსულ დიპლომატთა ჯგუფის ლეიენმა, კამბოჯის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ბატონმა ხუ კანტულმა თავისი და კოლეგების სახელით მადლობა გადაიხადა საინტერესო საუბრისთვის, საქართველოს შესახებ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი მისი კოლეგა უკვე ნამყოფია საქართველოში, მაგრამ მოისურვა კვლავ სწვეოდა მას, ეს მოწმობს, თუ რაოდენ მიმზიდველია ამ ქვეყნის ძვირფასი რესპუბლიკა. — გამოთქვა ბატონმა კანტულმა. მაგრამ იმდენად კი, ვინც წინათ არ ყოფილა აქ, აღიარეს, რომ საქართველო გამოირჩევა არა მარტო მდიდარი კულტურით, არამედ განვითარებული ეკონომიკითაც.

კამბოჯის ელჩმა აღნიშნა ის განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობა, რაც დიპლომატებს გაუწიეს აფხაზეთში. ჩვენ წინასწარ ინფორმაციებულნი ვართ იმით, თქვა მან, რაც უხდა ენახოთ თქვენს მესანიშნავ რესპუბლიკაში. ელჩმა ქართველ ხალხს უსურვა დიდი წარმატებანი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ პროგრესში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა თქვა, რომ დიპლომატთა მოგზაურობის დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს საშუალებას აძლევს მათ, რომ გაეცნონ საბჭოთა ხალხის ცხოვრებას, მის მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში. ასეთი მოგზაურობანი, ხაზი გაუსვა მან, ხელს უწყობენ მეგობრობისა და ურთიერთგაგების დამყარებას.

დასასრულ გ. დ. ჯავახიშვილმა სტუმრებს უსურვა საინტერესოდ და სასიამოვნოდ გაატარონ დრო საქართველოში.

საუბარს ესწრებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ჩოგოვაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ე. მ. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ მინისტრები გ. ნ. ჯიბლაძე, თ. ვ. ლაშჭარაშვილი, ლ. ა. საყვარელიძე, ვ. ზ. თოხაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ვ. ჭირაქაძე, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ს. ტრაპაიძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ი. ს. ბიაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების პირველი მდივანი ი. მ. სტახი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები. (საკდესი).

ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა შეკრება

ზუგდიდი, 20 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ შ. დადიანის სახელმწიფო სახელმწიფო თეატრში, გიმნაზიათა საქართველოს ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა შეკრება. შეკრებაზე რესპუბლიკის 26 რაიონიდან ჩამოვიდა 400-ზე მეტი კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

მოხსენება — „სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგები“ და საქართველოს ახალგაზრდობის ამოცანები ხუთწლედის პირველი წლისათვის — გააკეთა საქართველოს ლკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ე. ჩერკეზიამ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ვ. კვარაცხელია, საქართველოს ლკკ ფაქალაქის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. სარიშვილი, საქართველოს ლკკ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინტბა, სახელოვანი მეჩაიეები, ორგანის სოციალისტური შრომის გმირი თ. ყუფუნია, სოციალისტური შრომის გმირი კ. ნაცვალაძე და სხვ.

შეკრებაზე გრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მეჟავნაძემ.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ყველა ახალგაზრდა მშრომელისადმი, რომელშიც მრეწველებს ითხოვეს შეეჯიბრონ, რათა 1966 წელს ახალგაზრდობამ მოკრეფოს 130 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 13 ათასი ტონა ციტრუსი.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ბ. ღვინჯილია.

შეკრების მუშაობის ანგარიში გამოქვეყნდება.

უცხოელი დიპლომატები სტუმრად თბილისში

20 აპრილს სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების დიდი ჯგუფი. ევროპის, აზიის, ავსტრალიისა და ამერიკის 21 ქვეყნის დიპლომატები მოგზაურობენ საქართველოს გასაცნობად.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლეკაშვილი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები რ. რ. დვალი, ლ. ა. საყვარელიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ვ. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, ჟურნალისტები.

პიონერებმა სტუმრებს თაიგულები მიართვეს: — თქვენი ბავშვები ისეთივე მშვენიერები არიან, როგორც ეს შესანიშნავი მიხაკები, — თქვეს სტუმრებმა.

ჩამოსვლის დღეს დიპლომატებმა და მათი ოჯახის წევრებმა დაათვალიერეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. შემდეგ გაისეირნეს ქალაქში. სადამოს დიპლომატებმა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში მოისმინეს ოპერა „დაისი“. (საკდესი).

სურათზე: უცხოელი დიპლომატები ეცნობიან თბილისს.
ფოტო ი. დვალისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

მრეწველობის 1966 წლის I კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

მრეწველობის მუშაკებმა, გააზიარეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, ვალდებულება აიღეს, ყრილობის ბანახნის ღღისათვის, შეასრულეს წარმოების საერთო მოცულობისა და უნიშნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ახალი ხუთწლედის პირველი წლის I კვარტალის გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის წარმოების მატებამ 1966 წლის I კვარტალში გასული წლის I კვარტალთან შედარებით 7,9 პროცენტი შეადგინა.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია გაიზარდა:

ელექტროენერგია და თბოენერგია	10 პროცენტით
საბრბის მრეწველობა	6 პროცენტით
შავი და ფერადი მეტალურგია	9 პროცენტით
ქიმიური მრეწველობა	12 პროცენტით
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	11 პროცენტით
სატყეო, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	3 პროცენტით
სამშენ მასალათა მრეწველობა	9 პროცენტით
მსუბუქი მრეწველობა	7 პროცენტით
კვების მრეწველობა	6 პროცენტით
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება	15 პროცენტით

წარმოების საერთო მოცულობის 1966 წლის I კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულა სსრ კავშირის ყველა საერთოსაკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურმა სამრეწველო სამინისტრომ, გარდა სატყეო, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი.

გეგმის შესრულების და პროდუქციის ზრდას ცალკეული სამინისტროების მიხედვით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1966 წლის I კვარტალის გეგმის შესრულების პროც.	1966 წლის I კვარტალი პროცენტებით 1965 წლის I კვარტალთან შედარებით
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო	102	111
სსრ კავშირის ნავთობმოპოვებითი მრეწველობის სამინისტრო	101	110
სსრ კავშირის ნავთობგადასამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო	103	111
გაზის მრეწველობის სამინისტრო	104	115
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო	104	103
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო	102	107
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო	103	111
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	104	115
მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103	107
ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო	102	111
ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო	103	114
ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტრო	103	109
ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103	107
სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103	112
საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო	103	112
სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო	102	109
მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტრო	103	115
სსრ კავშირის სტალინი, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	99,2	103
სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	104	109
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	107
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო	103	100,3
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	116	121
სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტრო	103	99,6
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო (სამედიცინო მრეწველობა)	103	106

წარმოების საერთო მოცულობისა და მეტ წილ მნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის 1966 წლის I კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შესრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ.

საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარებული ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობის ზრდამ შეადგინა:

	1966 წლის I კვარტალი პროცენტებით 1965 წლის I კვარტალთან შედარებით
რუსეთის სფსრ	106
უკრაინის სსრ	106
ბელორუსიის სსრ	113
უზბეკეთის სსრ	110
ყაზახეთის სსრ	109
საქართველოს სსრ	114
აზერბაიჯანის სსრ	109
ლიტვის სსრ	114
მოლდავეთის სსრ	110
ლატვიის სსრ	112
ყირგიზეთის სსრ	116
ტაჯიკეთის სსრ	110
სომხეთის სსრ	112
თურქმენეთის სსრ	111
ესტონეთის სსრ	110

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია პროდუქცია 1966 წლის I კვარტალში	1966 წლის I კვარტალი პროცენტებით 1965 წლის I კვარტალთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიარდი კილოვატ-საათი	130	109
ნავთობი — მილიონი ტონა	63,2	109
გაზი — მილიარდი კუბური მეტრი	37	115
ქვანახშირი — მილიონი ტონა	147	102
აქედან საკოქსავი ქვანახშირი	35,7	105
თუჯი — მილიონი ტონა	17,2	106
ფოლადი — მილიონი ტონა	23,6	106
ნაგლინი — სულ — მილიონი ტონა	18,7	106
აქედან მზა ნაგლინი	16,2	106
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	373	110
ათასი ტონა	2428	109
რკინის მადანი — მილიონი ტონა	38,5	105
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულები) — ათასი ტონა	8354	120
მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებანი (პირობითი ერთეულები) — ათასი ტონა	48,4	102
გოგირდმჟავა — ათასი ტონა	2287	107
სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები — ათასი ტონა	216	112
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	113	113
კაუჩუკური სოდა — ათასი ტონა	335	105
ქლორინირებული სოდა — ათასი ტონა	736	103
ავტომობილი საბურავები — მილიონი ცალი	6,8	106
ტრაქტორები — მილიონი კილოვატი	3,1	105
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონი კილოვატი	7,5	102
ლრძონსაჭრელი ჩარხები — ათასი ცალი	46,5	104
სამჭედლო-საწნეხი მანქანები — ათასი ცალი	9,1	100,8
ხელსაწყოები — მილიონი მანეთი	542	115
ნავთობაპარატურა — ათასი ტონა	35,3	94
ქიმიური მოწყობილობა — მილიონი მანეთისა	98,1	108
საქსოვი დაზგები — ათასი ცალი	6,3	103
სამაგისტრალო თბომავლები — სექცია	360	98
სამაგისტრალო ელმავლები — ცალი	150	89
ავტომობილები — ათასი ცალი	158	106
ტრაქტორები — ათასი ცალი	92,2	108
სასოფლო-სამეურნეო მანქანები — სულ — მილიონი მანეთისა	371	105
ტრაქტორის გუთნები — ათასი ცალი	55,9	160
ტრაქტორის სათესი მანქანები — ათასი ცალი	60,6	94
ტრაქტორის კულტივატორები — ათასი ცალი	53,3	90
ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათასი ცალი	32	108
მარცვლის ასაღები კომბაინები — ათასი ცალი	22,5	107
ეწმასავატორები — ათასი ცალი	5,7	109
სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობების მიერ ხე-ტყის დამზადების გარდა) — მილიონი კუბური მეტრი	86	97
ქაღალდი — ათასი ტონა	874	114
ცემენტი — მილიონი ტონა	19	113
ასაწყობი რკინაბეტონი — მილიონი კუბური მეტრი	14,5	113
სამშენებლო აგური (კოლმეურნეობათა წარმოების გარდა) — მილიარდი ცალი	7,5	104
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	1069	113
ფასადური მინა — მილიონი კვადრატული მეტრი	51,3	104
ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:		
ბამბისა	1392	103
შალის	124	108
სელისა	147	108
აბრეშუმისა	206	99,4
ტრიკოტაჟის სავალი და ზედ ტრიკოტაჟი — მილიონ ცალი	239	111
შეკერილი ნაწარმი — მილიარდი მანეთისა	2,4	107
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	123	107
ხორცი* — ათასი ტონა	1308	146
ძეხვეული — ათასი ტონა	407	107
თევზეფილა და ზღვის პროდუქტების მოკვლეა — ათასი ტონა	1661	100,2
კარაქი, ყველი და რძის სხვა პროდუქტები რძეზე გადაანგარიშებით* — მილიონი ტონა	6,4	106
მცენარეული ზეთი** — ათასი ტონა	604	107
საკონდიტრო ნაწარმი — ათასი ტონა	618	94
კონსერვები — მილიონი ქილა	1148	88
სპირტი და სინთეზური სარეცხი საშუალებანი — ათასი ტონა	448	88
ყველა სახეობის საათები — მილიონი ცალი	7,8	107
რადიომიმღებები და რადიოლები — ათასი ცალი	1274	106
ტელევიზორები — ათასი ცალი	1048	133
მაცივრები — ათასი ცალი	497	143
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	926	118
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასი ცალი	186	104
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები — ათასი ცალი	993	106
აბეჯი — მილიონი მანეთისა	478	111

გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოებულია მეტი: ელექტროენერგია — 10,6 მილიარდი კილოვატ-საათი, ნავთობი — 5,4 მილიონი ტონა, გაზი — 4,7 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 3 მილიონი ტონა, თუჯი — 982 ათასი ტონა, ფოლადი — 1,3 მილიონი ტონა, მზა ნაგლინი — 943 ათასი ტონა, რკინის მადანი — 2 მილიონი ტონა, ფოლადის მილები — 33,5 მილიონი მეტრი, მინერალური სასუქები — 1,4 მილიონი ტონა, გოგირდმჟავა — 155 ათასი ტონა, ავტომობილის საბურავები — 407 ათასი ცალი, სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 17 მილიონი მანეთისა, ქიმიური მოწყობილობა — 7,4 მილიონი მანეთისა, ცემენტი — 2,3 მილიონი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონი — 1,5 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი.

სასალხო მოხმარების საქონელი წარმოებულია მეტი: ბამბის, შალისა და სელის ქსოვილები — 59 მილიონი კვადრატული მეტრი, ტრიკოტაჟის საცვალი და ზედა ტრიკოტაჟი — 24 მილიონი ცალი, შეკერილი ნაწარმი — 150 მილიონი მანეთისაზე მეტი ღირებულებისა, ტყავის ფეხსაცმელი — 8 მილიონი წყვილი, რადიომიმღ

ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 96 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲘᲚᲘᲩᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ — ერთ-ერთი ულამაზესი და უდიდესი ქალაქი პარიზი განსაკუთრებით შომხიბველია გაზაფხულზე... მეყვავილე ქალები გამვლელთ პირველ თაიგულებს სთავაზობენ, გაზაფხულის მზის მაცოცხლებელი სხივები ყველგან იცრება, შუქი და სითბო სიცოცხლეს აღვიძებს, ამწვანებას იწყებს მდელო, ყვავის ბაღები, ირგვლივ ხაამო და რბილი ჰაერია.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ქართველ ტურისტთა ერთ ჯგუფს შესაძლებლობა გვქონდა სწორედ ამ თვეში — აპრილში გვენახა ეს დიდებული ქალაქი: აპრილში კი ადამიანები აღნიშნავენ უკვდავი ლენინის დაბადების დღეს, ეცნობიან მის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ისტორიულ ადგილებს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე უინლეთში, პოლონეთში, შვეიცარიაში, ქალაქ ლონდონში... ახლი ადგილია პარიზშიც.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲘᲚᲘᲩᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 96 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს დედაქალაქში დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 96 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები.

სატელევიზიო თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ პირველი მაისის რაიონის ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენელნი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის ღოლაწეები. ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ვ. ზიმიანინმა.

◆

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 აპრილი. (საკდესის კორ.). ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის დამთავრებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიხსნა დღეს მოსკოვში. იგი მოწვეულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ.

მოხსენება „ლენინიზმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველია“ გააკეთა აკადემიკოსმა პ. ნ. პოსპელოვმა.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲔᲓᲔᲜᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს დედაქალაქში დაიწყო ვ. ი. ლენინის დაბადების 96 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები.

სატელევიზიო თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ პირველი მაისის რაიონის ქარხნებისა და ფაბრიკების წარმომადგენელნი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები, მეცნიერებისა და ტექნიკის ღოლაწეები. ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა მ. ვ. ზიმიანინმა.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 აპრილი. (საკდესის კორ.). ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის დამთავრებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გაიხსნა დღეს მოსკოვში. იგი მოწვეულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა უმაღლესმა პარტიულმა სკოლამ.

მოხსენება „ლენინიზმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეცნიერული საფუძველია“ გააკეთა აკადემიკოსმა პ. ნ. პოსპელოვმა.

2.

ᲫᲚᲘᲚᲘᲐ იმ გრძნობის გადაცემა, რომელიც სახლ-მუზეუმში შესვლისას გეუფლება, როცა შესასვლელ კარს აღებ, თითქოს ცოცხალიაო, ისე გამოიყურება დიდი ბელადი ექსპონატებიდან. გამოფენილი დოკუმენტები მიგვითხრეს იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი იყო ლენინის მოღვაწეობის პარიზის პერიოდი.

ლენინს ორი ოთახი ეჭირა. ვიწრო გრძელი წინოთახით შედიხარ მეტად პატარა სასადილო ოთახში. „სასადილოზე“ ოდნავ დიდია ნადიუდა კონსტანტინეს ასულის დედის საწოლი ოთახი, წინა ოთახში მარჯვნივ საწერი მაგიდაა. სავარძელი მიდგმულია ხის თეთრ მაგიდასთან. მწვანე დაბალი სავარძელი გაბედილი იყო წიგნებით. ორი ფანჯარა გადის ქუჩისა და ბაღისაკენ. ორ ოთახს შუა ბნელი საკუჭნაოა. ეს იყო ვლადიმერ ილიას-ძის და ნადიუდა კონსტანტინეს ასულის საწოლი ოთახი. მისაღებში დგას უბრალო ხის კარადა, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძის წიგნები ინახებოდა.

მისაღების ოთახში მთელი რიგი დოკუმენტების ფოტოპირები და ფოტოსურათებია. აქ ნახავთ ვ. ი. ლენინის იმ ლექციების ფოტოპირს, რომლებიც მან წაიკითხა საზოგადოებრივ მეცნიერებათა რუსულ უმაღლეს სკოლაში, 1903 წელს. აქვეა ფოტოსურათი პარიზის ალესის ქუჩაზე მდებარე სახლისა, სადაც მოწყო რსდმპ V სრულიად რუსეთის კონფერენცია. მინის ქვეშ მოთავსებულია იმ წერილის ფოტოპირი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძემ 1909 წლის 12 იანვარს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის გარეგნობა მაცდუნებელია! ბატონი ულიანოვი მდიდარი კაცია. რუსეთში უდიდესი ქონების მფლობელია და არცთუ ცოტა მოგებას იღებს თავისი საკუთრებიდან. მას მიმდინარე ანგარიში აქვს ბანკ „ლიონის კრედიტში“.

სახლის პატრონმა შეამოწმა და გამოიჩკვა, რომ ასეთი ნაბანკო ანგარიში ნამდვილად იყო. ამ დღიდან როგორც თვითონ, ისე მეკარე ქალი სულ სხვანაირად ექცეოდნენ თავიანთ მდგმურებს. მაგრამ ის მაინც ვერ გაიგეს, რომ ეს ფული ეკუთვნოდა არა ლენინს, არამედ ბოლშევიკურ პარტიას.

2.

ᲫᲚᲘᲚᲘᲐ იმ გრძნობის გადაცემა, რომელიც სახლ-მუზეუმში შესვლისას გეუფლება, როცა შესასვლელ კარს აღებ, თითქოს ცოცხალიაო, ისე გამოიყურება დიდი ბელადი ექსპონატებიდან. გამოფენილი დოკუმენტები მიგვითხრეს იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი იყო ლენინის მოღვაწეობის პარიზის პერიოდი.

ლენინს ორი ოთახი ეჭირა. ვიწრო გრძელი წინოთახით შედიხარ მეტად პატარა სასადილო ოთახში. „სასადილოზე“ ოდნავ დიდია ნადიუდა კონსტანტინეს ასულის დედის საწოლი ოთახი, წინა ოთახში მარჯვნივ საწერი მაგიდაა. სავარძელი მიდგმულია ხის თეთრ მაგიდასთან. მწვანე დაბალი სავარძელი გაბედილი იყო წიგნებით. ორი ფანჯარა გადის ქუჩისა და ბაღისაკენ. ორ ოთახს შუა ბნელი საკუჭნაოა. ეს იყო ვლადიმერ ილიას-ძის და ნადიუდა კონსტანტინეს ასულის საწოლი ოთახი. მისაღებში დგას უბრალო ხის კარადა, რომელშიც ვლადიმერ ილიას-ძის წიგნები ინახებოდა.

მისაღების ოთახში მთელი რიგი დოკუმენტების ფოტოპირები და ფოტოსურათებია. აქ ნახავთ ვ. ი. ლენინის იმ ლექციების ფოტოპირს, რომლებიც მან წაიკითხა საზოგადოებრივ მეცნიერებათა რუსულ უმაღლეს სკოლაში, 1903 წელს. აქვეა ფოტოსურათი პარიზის ალესის ქუჩაზე მდებარე სახლისა, სადაც მოწყო რსდმპ V სრულიად რუსეთის კონფერენცია. მინის ქვეშ მოთავსებულია იმ წერილის ფოტოპირი, რომელიც ვლადიმერ ილიას-ძემ 1909 წლის 12 იანვარს საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გაუგზავნა და სთხოვა მიეცა მისთვის მკითხველის ბილეთი. წერილი დაწერილია ფრანგულ ენაზე, მის გვერდით იგი ბიბლიოთეკის სურათია, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე თავისი დროის მნიშვნელოვან ნაწილს ატარებდა. აქვეა ფოტოპირები ენენეკაში 1908 წლის 5 აგვისტოს (23 ივლისს) გამოსული გაზეთ „პროლეტარისა“, რომელშიც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატია „ფიცხი მასალა მსოფლიო პოლიტიკაში“.

1908 წლის 17 ივლისს ვილნიუსკენ ჯორჯში, მუშათა დემონსტრაციის დროს მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა — მუშებს სროლა აუტეხეს. ამ სტატიაში ვ. ი. ლენინმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა კლემანსო, რომელმაც ბრძანება გასცა „გაფიცულებისათვის ესროლათ.

ლენინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეპიზოდმა, რომლის შესახებ იგი წერდა: „როდესაც მუშებს ერთი თავიანთი დაჭრილი ამხანაგი მიჰყავდათ გენერალ ვირვერის ახლოს, რომელიც სარდლობდა იერიშს გაფიცულთა წინააღმდეგ, მანიფესტანტებიდან გაისმა შეძახილები: „სალამი მიეცით!“ და ბურჟუაზიული რესპუბლიკის გენერალმა სალამი მისცა დაჭრილ მტერს“.

მნახველები დიდხანს ჩერდებიან კედელთან, სადაც გამოფენილია გაზეთ „ისკრის“ პირველი ნომრის ფოტოპირი, ლენინის პორტრეტები სხვადასხვა წლებში. აქვეა საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, მარქსის სიძის პოლ ლაფარგის პორტრეტი და ზოგიერთი სხვა დოკუმენტი.

3.

ᲨᲔᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ სახლ-მუზეუმის მეორე ოთახში. აქაც ბევრი საინტერესო დოკუმენტია. მინაჩასმულ ჩარჩოში მოთავსებულია პირველი ნომერი, 1910 წლის 30 ოქტომბრის (12 ნოემბრის) „რაბოჩაია გაზეთასი“, როშელიც პარიზში გამოდიოდა. დაბეჭდილია სტატია: „რევოლუციის გაკვეთილები“. ქვეშოო — განცხადება: „გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება მარი-როზის ქ. № 4-ში, ბატონ ულიანოვთან“. აქვე მინის ქვეშ ვიტრინებში მოთავსებულია „ლუმანიტეს“ პირველი ნომრები.

აი სურათი სახლისა პარიზის მახლობლად, ლონჟიუმოში. აქ ლენინი და კრუპსკაია შეჩერდნენ 1911 წელს. ამ სახლიდან ვლადიმერ ილიას-ძე ხელმძღვანელობდა მის მიერ შექმნილ პარტიულ სკოლას რუსეთის მხვნელი პროლეტარული ცენტრების პარტიული ორგანიზაციების მუშაკებისათვის.

სკოლა მოთავსებული იყო სადურგლო სახელოსნოში. ამავე ოთახშია ლენინის სტატიებისა და „ლიკვიდატორებისა და ლიკვიდატორთა“ ჯგუფის შესახებ რეზოლუციის პროექტის ფოტოპირები, აგრეთვე კაფე „როტონდას“ სურათი. აქ იერიბებოდნენ რუსი ემიგრანტები. „როტონდაში“ ხშირად შედიოდა ვლადიმერ ილიას-ძე (კაფეს ადგილზე ახლა ამავე სახელწოდების კინოთეატრი).

მარი-როზის ქუჩაზე ვ. ი. ლენინთან ხშირად მოდიოდნენ რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებიც საფრანგეთში ემიგრანტებად ითვლებოდნენ ანდა მათთან რუსეთიდან ჩამოდიოდნენ. ისინი აქ მოდიოდნენ დიდ ბელადთან, რომ მოეთმინათ მისგან მითითებები, რჩევა-დარიგება. 1911 წლის გაზაფხულზე მაქსიმ გორკი ესტუმრა ლენინს ამ სახლში. რუსეთიდან ახლადჩამოსული რევოლუციონერებთან და მწერლებთან შეხვედრები ვ. ი. ლენინისათვის რუსეთში საქმის მდგომარეობის შესახებ ახალი ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა.

საქართველოში მოღვაწე ბევრ ბოლშევიკ-რევოლუციონერს ჰქონდა ბედნიერება პირადად შეხვედროდა ვ. ი. ლენინს პარიზში, ესაუბრა მასთან, მოესმინა მისი ლექციო-მოხსენებები, რჩევა-დარიგება და ა. შ. აქ მარი-როზის ქუჩაზე ვლადიმერ ილიას-ძემ განსაკუთრებული ყურადღებითა და გულთბილობით მიიღო უშიშარი რევოლუციონერი სერგო ორჯონიკიძე.

ამ ცოტა ხნის წინათ „პრავდაში“ დაბეჭდა სერგო ორჯონიკიძის უცნობი წერილი, რომელიც დაწერილია პარიზში 1911 წელს და გაგზავნილია ბაქოში. ამ წერილში იგი თავის ამხანაგებს უზიარებს ბელადთან შეხვედრის პირველ შთაბეჭდილებებს.

აი სტრიქონები ამ წერილიდან: „გუშინ 12 საათსა და 15 წუთზე ჩამოვედი პარიზში. მე მქონდა ლ-ს (ლენინის) მისამართი. ვფიქრობდი ბარგი დამეტოვებინა სადგურში, მაგრამ ვერ მოვახერხე, ვერაფრით ვერ შევძელი ამეხსნა მუშისათვის ჩემი სურვილი. ჩემს მეგზურში არ აღმონახა სწორედ ის საჭირო ნაბადდება, ბევრი ახსნა-განმარტების შედეგ მუშაჯრად ვაიძულე ბარგი გადაეტანა ავტომობილზე. ვაჩვენე მისამართი. რამდენიმე წუთის შემდეგ მიმიყვანა ლ-ს ბინაში. შემომეგება მისი მეუღლე. იგი, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ მათთან მოვიდა მოხეტიალე. რუსეთიდან, და საკმაოდ გულთბილად ეიმღოლ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ოვითონ ლ. გარეგნულად იგი ჰგავს ტიპიურ რუს მუშას. დაბალი, მელოტი თავით... საუბარში წუთითაც არ გაგრძნობინებს, რომ საქმე გაქვს ისეთ ადამიანთან, რომელიც მილიონი თავით მაღლა დგას შენზე, პირიქით, პირველი შეხვედრისთანავე თითქოს მთელი სულითა და გულით გეხვევა. მე მასთან დავრჩი 3-4 საათს. ვსაუბრობდით ყველაფერზე, სპარსეთზე, ბაქოზე, კავკასიაზე და სხვ. შემდეგ მე გამომინახეს ოთახი და იქ მოგითავსეს...“

ბელადმა ასეთივე გულთბილობით და სიყვარულით მიიღო ლეგენდარული კამო, ხშირად ესაუბრებოდა მას და თვითონაც გატაცებით უსმენდა, როდესაც კამო უყვებოდა თავის საოცარ თავგადასავალს — განსაკუთრებით 1907 წლის ივნისში თბილისში სახელმწიფო ბანკის ფულის ექსპროპრიაციაზე, დაპატიმრებაზე, სიმულაციაზე, როდესაც სიგიჟე მოიგონა და სხვ. ვლადიმერ ილიას-ძე მზრუნველობით ეკიდებოდა კამოს. „პარიზიდან გამგზავრების წინ მას აჩუქა თავისი თბილი პალტო. ბელადი კამოზე ერთ-ერთ წერილში წერდა, ვიცნობ ყოველმხრივ, როგორც სავსებით განსაკუთრებული ერთგულების, სიმამაცისა და ენერგიის ადამიანსო.

ვ. ი. ლენინს პარიზიდან სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა ხელმძღვანელობის გაწევა „პრავდისათვის“, რუსეთში მუშაობი რევოლუციური მოძრაობისათვის. ამიტომაც 1912 წლის ივნისში ვ. ი. ლენინი კრაკოვში გადმოვიდა, რომ რუსეთთან უფრო ახლოს ეცხოვრა და უკეთ ეხელმძღვანელა გაზეთისა და პარტიული მუშაობისათვის.

დადგა ვ. ი. ლენინის პარიზიდან წასვლის დღე. პრაკ მონსურის კაფეში მოეწყო პატარა გამოსათხოვარი სადამო. ვლადიმერ ილიას-ძე მხიარულობდა, იცინოდა, მღეროდა ვოლგელი ბურლაკების სიმღერებს. უკვე ვვიან იყო, როდესაც ვიღაცამ წინადადება შეიტანა, პარაკში გავისეირნოთო. მაგრამ ლენინი უარზე იდგა. მან თავის მეგობრებს უთხრა: „წადით, დაიძინეთ, ღამის გუშაგებო“.

რამდენიმე საათის შემდეგ ვ. ი. ლენინმა და ნ. კ. კრუპსკაიამ დატოვეს პარიზი, მარი-როზის ქუჩა და გაემგზავრნენ კრაკოვში.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ პროლეტარიატი წმინდად ინახავს მსოფლიო მუშათა კლასის დიდი ბელადის — ლენინის ხსოვნას. უწყვეტ ნაკადად მოდიან ამ მუზეუმში ადამიანები, რათა ნახონ ბინა, სადაც ცხოვრობდა და მუშაობდა რევოლუციის გენიალური სარდალი, ხალხის ბედნიერებისათვის უდიდესი მებრძოლი, ადამიანი, რომელმაც, — როგორც ამბობდა დიდი ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი, — ყველაზე მეტი გააკეთა ადამიანებისათვის.

ყველას აზრი და გრძნობა გამოთქვა მუზეუმის დათვალიერების დროს ფრანგმა მუშამ, კომუნისტმა ჟორჟ ფილიპმა, როცა თქვა:

გადის წლები. ბევრი რამ ქრება თაობათა მეხსიერებაში. დავიწყებას ეძლევა ადამიანთა სახელები. მაგრამ ლენინის სახელი საუკუნეებში იცოცხლებს. მასზე ვერ იტყვი: „იგი იყო“. მასზე ყოველთვის ვამბობთ: „იგი არის, იგი იქნება“, რადგან მასში აწყოდ არის და მომავალიც!

ᲤᲘ. ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲗᲮᲠᲝᲒᲔᲜ

18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ მასწავლებლის სახლში გაიმართა კალინინის რაიონის ინტელიგენციის შეხვედრა პარტიის XXIII ყრილობის დელეგატებთან — რესპუბლიკის განათლების მინისტრ თ. ლაშქარაშვილთან, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საკალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილთან და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძესთან.

შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. რიგვავამ. (საკდესი).

ᲡᲙᲙᲞ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲓᲦᲔᲡ ᲣᲙᲕᲔ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲒᲣᲜᲓᲘᲠᲘ

ᲕᲘᲡᲐᲪ ერთხელ მაინც უნახავს დიდი მაიაკოვსკი, მას ალბათ არასოდეს არ დავიწყდება აქაური ბუნება. მაგრამ ამ დიდის კოლმეურნეობა გაცილებით მდიდარია შრომისა და ლენინის მოყვარე ადამიანებით, რომლებიც გონივრული საქმიანობით, გამრჯე მარჯვენით ადიდებენ საშობლოსა და პარტიას.

გაზაფხულს, მიმინებული ბუნების, მიწისა და კვირტის გამოღვიძებას ყოველთვის დიდი სიხარულით ეგებება მეკრეფელი კაცი. მაგრამ წლევანდელი გაზაფხული გაცილებით უფრო პირმეტიანად შემოვიდა და ახარებს ადამიანებს. განსაკუთრებული ალტაცება და შრომითი პათოსი სუფევს ახლა მიიაკოვსკში. აქაური მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უსაზღვრო სიხარულს განიცდიან სკკპ XXIII ყრილობის დიადი, ისტორიული გადაწყვეტილებებით, აგრეთვე იმით, რომ კომუნისტთა ამ დიდი ფორუმის მუშაობაში როგორც დელეგატი, მონაწილეობას იღებდა მათი სახელოვანი ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვალერიან გარუჩავა.

სკკპ ყრილობის მუშაობის დღეებში ყოველ ერთი ახალი დიდი სიხარული გაიცადეს მიიაკოვსკელმა კოლმეურნეებმა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა წარჩინებულ მეაბრეშუმეს და მეკვნახეს მარიამ ბაშანეიშვილს. იგი პირველი ქალია, რომელიც მხარში ამოუდგა დაბის სახელოვან ვაჟკაცებს, სოციალისტური შრომის გმირებს: ვ. გარუჩავას, ი. არწიევიძეს, მ. ებანოიძეს, ი. ვამაკიძეს, ნ. ფოჩხიძეს, დ. ხიხანიშვილს და სხვებს, ღირსეულად რომ დგანან სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლის ავანგარდში და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ.

გასულ წელს კოლმეურნეობაში არაჩვეულებრივი ამინდების მიუხედავად საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 61,1 ცენტნერი ყურძენი და 17,2 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. ერთ საფურაქე ძროხაზე მოწველეს 1.076 კილოგრამი რძე ნაცვლად 800-სა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 2.750 ცენტნერი ყურძენი, 854 ცენტნერი რძე, 195 ცენტნერი ხორცი და 59,6 ცენტნერი ბრეშმის პარკი, გაცილებით მეტი, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. 1964 წელთან შედარებით 52.220 მანეთით ვაიზარდა არტელის წლიური ფულადი შემოსავალი, ხოლო თვითეული შრომადღის ღირებულება 0,34 მანეთით. პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმაც გადაჭარბებით შესრულდა.

მიიაკოვსკელები ამაყობენ შესანიშნავი მეზრეკელებით. მათი ღირსეული წარმომადგენელი ვალერიან გარუჩავას ბრიგადა ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს ყურძნის მოსავლიანობის, ახალი ვენახის გაშენებისა და სხვა საწარმოო დავალებებს. ასე მოხდა შარშანაც. ბრიგადამ მეტად არახელსაყრელი ამინდების მიუხედავად 8,70 ჰექტარ მსხმოიარე ვენახში საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერი ყურძენი მოარეფა, გეგმა კი 65 ცენტნერს ითვალისწინებდა.

— მაინც რით აღწევს ბრიგადა ასეთ წარმატებას? — ვეკითხებით თავმჯდომარეს, საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერ ორგანიზატორს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ანდრო კაკაბაძეს.

— უფროსარეს ყოველისა, — ამბობს იგი, — საქმის ცოდნითა და უსაზღვრო სიყვარულით. ზე ამოსვლას ვერ მოახერებს ჩვენს ბრიგადაზე. იგი თითქმის მუდამ ზვრებშია, საკუთარი შვილივით ზრდის და უვლის, მკურნალობს თვითეულ ვაზს. ვაზისადმი ასეთსავე მოკურობას შთაგონებს და ასწავლის ბრიგადის წევრებსაც.

მისმა თანამოსაქმეებმა კარგად იციან, რომ ყურძნის უხვი მოსავლის მიღება მხოლოდ ხანგრძლივი, დაძაბული ჟუშაობით შეიძლება. ამიტომ შემოდგომაზე ხვნის პარალელურად ვენახებში საშუალოდ ჰექტარზე შეაქვთ 30-40 ტონა გადაუწვარი ნაკელი. მიწის ქიმიური შედგენილობის გათვალისწინებით იყენებენ მინერალურ სასუქებსაც. სავეგეტაციო პერიოდში ორჯერ აწარმოებენ რიგთაშორისების ხვნას 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე. და ვაზის ძირების თოხნას, რაც ნიადაგს უნარჩუნებს ტენს. ყურძნის უხვი მოსავლის მისაღებად ასევე არსებითი მნიშვნელობა აქვს ვაზისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, სიმძლავრის მიხედვით მის დატვირთვას, გასხვლას, ფორმირებას და შეკვრა-ოპერაციების ჩატარებას. ამ და მთელ რიგ სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებს საუკეთესოდ ფლობენ და იცავენ ვალერიან გარუჩავას ბრიგადის წევრები და ყოველგვარ პირობებში მაღალ მოსავალს იღებენ.

მოუთმენლად ელოდნენ მიიაკოვსკელები მოსკოვიდან ვალერიანის დაბრუნებას. ბრიგადირსაც ერთი სული ჰქონდა, სანამ თავის ამხანაგ-მეგობრებს შეხვდებოდა და მათთან ერთად ძველებურად გამართვადა მკლავს. და აი ისიც დაბრუნდა. ყრილობის დელეგატთან შეხვედრა ნამდვილ ზეიმად გადაიქცა მიიაკოვსკში.

ბრიგადის წევრებმა თავიანთ სახელოვან ხელმძღვანელს აფიფთოვანებით გადასცეს, რომ მისი აქ არყოფნის მიუხედავად თავი არ შეურცხვენიათ შრომაში. ყრილობის მუშაობის დღეებში დაამთავრეს ზვრებში რიგთაშორისების მეორე ხვნა, ვაზის გასხვლა-ფორმირება და საყრდენებზე დამაგრება, ყოველმხრივ ზზად არიან საგაზაფხულო თესვისათვის.

ბრიგადირები ი. მშვილდაძე, კ. გრძელაძე, დ. სვანიძე, ე. ქარაბაკი, ვ. გორგაძე, ვ. გოქსაძე და სხვები შეკითხვას შეკითხვაზე აძლევდნენ. ვალერიანმაც დაწვრილებით უამბო თანამოსაქმეებს ყრილობის მუშაობის და იქ განცდილი სიხარულის შესახებ.

— ბევრი, ძალიან ბევრი ჩანაწერი მაქვს დელეგატის ბლოკნოტში, — ამბობს ვალერიანი, —ყველა მათგანზე თანდათან ვიმსჯელებთ და მოვითათბირებთ. ახლა კი მინდა შევეხო ძირითად საკითხს. ყრილობამ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად დასახა ის, რომ მნიშვნელოვნად გაკადიღიდან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მიწათმოქმედების პროდუქციის წარმოების მთავარ ბაზად მიჩნეულია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება. ამ მხრივ საყვედური არ გვქონია, მაგრამ არც დიდად სახარბიელო მაჩვენებლები გვაქვს. ყველაფერს ხიბეტების ჩირეულობას ვერ დაეგბრალებთ. ჩვენთანაც არიან რგოლები, ცალკეული მევენახეები, რომლებიც წლებობით ვერ ასრულებენ ყურძნის მოსავლიანობის გეგმებს. რატომ ხდება ასე? ამიტომ, რომ ზოგჯერ ნაკლებ ინტერესს ვიჩენთ მოწინავეთა შრომის მეთოდებისადმი.

— შარშან და წელს, — გააგრძელა დელეგატმა, — ვენახებში ბევრი გაკეთდა ხელი ადგილი შევავსეთ, მაგრამ ვაზა სიმეჩხრე ზოგიერთ ბრიგადაში 15-20 პროცენტს მაინც აღწევს. ეს კი ყოველ მეურნეობას ათასობით ლანეთ შეჰოლავლს ეკარგავს. ამიტომ აუცილებელია წელსვე შეკვმნათ კარგი წინაპირობა ვენახებში სიმეჩხრის მინიმუმამდე დაყვანისათვის, უახლოეს სამ წელიწადში კი მიეაღწიოთ ვაზის სიმეჩხრის სრულიად აღიარებას და ყურძნის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდებას არა მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში, არამედ მთელ რაიონში.

ყრილობაზე აღინიშნა და მინდა მოგაგონოთ, რომ საერთო საქმეს დიდ ზიანს აყენებენ უქნარები, პარაზიტები. მათთან მეტი აღმზრდელობითი მუშაობა დაგეგეგმრდება. თუ ამნა�აც არ გაკეთა, დასჯის უმკაცრეს ფორმებსაც უნდა მიეკარ... თოთ...

სკკპ XXIII ყრილობაზე დაწყებული დიდი საუბარი გრძელდება ყველგან: მინდვრებსა და ფერმებში, ბაღებსა და ზვრებში. მიიაკოვსკელებიც ფიქრობენ მსჯელობენ და სახავენ ღონისძიებებს ახალ ხუთწლედში სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, მეურნეობის ყველა დარგის რენტაბელობისათვის.

დაბა მიიაკოვსკის „კოლმეურნეები“ ალფრთოვანებით სწავლობენ პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მათი მტკიცე პირობაა ახალ ხუთწლედში 170 ჰექტარამდე ბიაღვანის ვენახების საერთო ფართობი, ყურძნის მოსავლიანობა კვლავ აამაღლონ. მარტო მევენახეობიდან მიღებული შემოსავალი გაზარდონ 240 ათას მანეთამდე, ხოლო საერთო ფულადი შემოსავალი 500 ათას მანეთამდე. შემოსავლიანობა განუხრელი ამაღლების კვალობაზე უფრო ძლიერებული, კულტურული გახდება კოლმეურნეთა ცხოვრება.

ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში თავის ღირსეულ წელილს შეიტანს სკკპ XXIII ყრილობის დელეგატის ვალერიან გარუჩავას საწარმოო ბრიგადა, რომელიც წელს სამეალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძნის მიღებისათვის იბრძვის.

Ვ. ᲮᲕᲐᲓᲐᲫᲔ.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ

20 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა და მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და საგეგმო-საფინანსო მუშაკების თათბირ-სემინარი, რომელიც მოიწვია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა საუწყებათშორისო კომისიამ იმასთან დაკავშირებით, რომ სამრეწველო საწარმოები გადავიდნენ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

თათბირ-სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საუწყებათშორისო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ი. მიქელაძემ.

მოხსენებაში წაიკითხეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მელქაძემ — „სამეურნეო რეფორმის განხორციელების არსი, წესი და ვადები და „საგეგმო-ეკონომიური მუშაობის ამოცანები სამრეწველო საწარმოებში“, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ტრაპაიძემ — „დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა ურთიერთობა სახელმწიფო ბიუჯეტთან“, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის განყოფილების უფროსმა ვ. წიქორიძემ — „კრედიტის როლის ამაღლება სახალხო მეურნეობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომზადებაში, ქართული ავტომობილის მშენებლები ფასდაუდებელ, ძვირფასმპარებად უფლეები რუსი და ბელორუსი ავტომშენებლები.

მაგ

საერთაშორისო ცხოვრება

სახელოვანი გამარჯვების ხუთი წლისთავი

პაპანა, 19 აპრილი, საკდესის კორესპონდენტები **რ. ენიაზევი** და **ვ. ლახაური** გვატყობინებენენ:

კუბამ აღნიშნა პლაია-ხირონში კონტრრევოლუციური ინტერვენციის დამარცხების მეხუთე წლისთავი. კუბის ახალგაზრდა შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ამშენ ორგანიზაციის სტადიაში იყვნენ, სამი დღე-ღამეც არ დასჭირვებიათ, რომ განადგურებინათ უახლესი ამერიკული იარაღით აღჭურვილი კონტრრევოლუციონერები, რომლებიც დაიჭირეს, შეიარაღა და გაწვრთნა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ.

ზეიმით აღნიშნავს კუბელი ხალხი ამ გმირობის მეხუთე წლისთავს. 19 აპრილს პლაია-ხირონში გაიმართა პარადი, რომელშიც ცხადდო, თუ როგორი გახდნენ განვლილ ხუთ წელიწადში თავისუფლების კუნძულის შეიარაღებული ძალები. ამბიამ აჩვენა შესანიშნავი სამხედრო ტექნიკა, თანამედროვე თვითმფრინავები, ტანკები, არტილერია, მისმა მებრძოლებმა კი ცხადყვეს, რომ მზად არიან ყველენ ხუთს დაიცვან პირველი სოციალისტური რევოლუცია ამერიკის კონტინენტზე.

განვლილი ხუთი წელი დამაჯერებლად მიუთითებს, რომ ამაოდ არ დაკარგლა პლაია-ხირონში რევოლუციის მებრძოლთა სისხლი, რომ კუბა წარმატებით მიდის წინ.

განვლილ 5 წელიწადში კუბამ დიდი წარმატებები მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობაში. კუბაში განხორციელდა აგრარული რეფორმა, რომლის შედეგად მოლიანად ლიკვიდირებულია მემამულეები. ნაციონალიზებულია ყველა დიდი სამრეწველო და სავაჭრო საწარმო, რომლებიც უცხოელ და ადგილობრივ კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სახელმწიფოს ხელშია.

კუბამ დიდი წარმატებანი მოიპოვა ეკონომიკის განვითარებაში. ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ნიკელის წარმოება რევოლუციამდელ ხუთწლიულთან შედარებით თითქმის 35 პროცენტით გაიზარდა, ზოგიერთი სახეობის ქიმიური სასუქების წარმოება — ორნახევარჯერ. მნიშვნელოვნად გაიზარდა საფეიქრო მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციის წარმოება, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმის წარმოება. სსრ კავშირის დახმარებით აშენებული ახალი დიდი ელექტროსადგურების ამოქმედების შემდეგ გაიზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება.

კუბის ძირითადი სიმდიდრის — შაქრის წარმოება შარშან 6 მილიონი ტონა იყო. ამ სეზონში, უაღრესად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების — უმაგალითო გვალვის მეიზედაკად, შაქრის წარმოება მაინც 5 მილიონ ტონაზე მეტი იქნება.

კუბელ ხალხს ახალი საზოგადოების მშენებლობაში დიდ დახმარებას უწევენ სოციალისტური ქვეყნები, უდიდეს დახმარებას უწევს კუბას საბჭოთა კავშირი. რევოლუციური კუნძული სულ უფრო დიდ ავტორიტეტს იძენს ამერიკის ქვეყნებში, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

ყველა ეს წარმატება კუბელმა მშრომელებმა მოიპოვეს ამერიკის ეკონომიური ბლოკადის მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ იმპერიალისტები და მათი აგენტურა არ წყვეტენ ძირგამომთხრელ მოქმედებას და ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიით უმუქრებიან კუბას.

უმოკლეს დროში თავისუფლების კუნძულზე პრაქტიკულად ლიკვიდირებულია უწიგნურობა. დიდი მიღწევებია ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დარგში.

კარიბის ზღვის გმირი კუნძული ეგვეტება პლაია-ხირონში ამერიკის იმპერიალიზმის დამარცხების სახელოვან ხუთი წლისთავს, გაბედულად და ღრმენით შეჰყურებს მომავალს. თავიანთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კუბელი მშრომელები წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას.

პაპანა, 20 აპრილი. (საკდესი). გუშინ კუბელმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა პლაია-ხირონში ამერიკის იმპერიალიზმის დამარცხებულთა — კუბელ კონტრრევოლუციონერთა ინტერვენციის განადგურების ხუთი წლისთავი.

პლაია-ხირონში გაიმართა რევოლუციური შეიარაღებული ძალების ქვეგანყოფილების პარადი. პარადის მონაწილეებს სიტყვით მიმართა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა მაიორმა როხელიო ასეკედომ. მან მოიწოდა რევოლუციის მებრძოლებს ფხიზლად დაიცვან ხალხის მონაპოვარი.

გვიან ღამით პაპანის ჩაპლინის სახელობის თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა.

საბჭოთა დელეგაციის ვიზიტები

ბაღდადი, 19 აპრილი. (საკდესი). გუშინ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. სპირიდონოვის მეთაურობით ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ერაყის პრემიერ-მინისტრს აბდელ რაჰმან ალ-ბაზაზს, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ადნან პაჩაჩის და კულტურისა და ორიენტაციის მინისტრს მუჰამედ ნასერს.

საბჭოთა დელეგაციასა და პრემიერ-მინისტრ ალ-ბაზაზს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს განიხილეს ერაყისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები.

საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრთან საბჭოთა დელეგაციის ვიზიტის დროს მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყისა და საბჭოთა კავშირის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა ბევრ საერთაშორისო პრობლემაში, მაგალითად, ისეთ პრობლემებში, როგორიც არის ბრძოლა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ვიეტნამის მიმართ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

კულტურის მინისტრმა მ. ხასერამ საუბრის დროს აღნიშნა, რომ კეთილნაყოფიერად ვითარდება საბჭოთა კავშირ-ერაყის კულტურული ურთიერთობა.

ხელი მოაწერეს საქონელბრუნვის ოქმს

პეკინი, 19 აპრილი. (საკდესი). დღეს პეკინში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ხელი მოაწერეს 1966 წლის საქონელბრუნვის ოქმს.

ოქმს ხელი მოაწერეს — საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის საგარეო დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ი. ტ. გრიშინმა, ჩინეთის მხრივ — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ლინ ხაი-იუნმა.

ლენინის დღეები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის მშრომელები უდიდეს პატივს [illegible] ვ. ი. ლენინის ხსოვნას, მისი დაბადების 96 წლისთავის გამო რესპუბლიკაში [illegible] კრებები და სალამოები. ქარხნებისა და სოფლის კლუბებში გაიხსნა ილიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები. [illegible] ლენინის უკვდავი მეშკვიდრეობის შესახებ.

მუშათა პრაღასთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ერთ-ერთი სახელოვანი ფურცელი. 1912 წლის იანვარში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით აქ გაიმართა რსდმპ მე-6 სრულიად რუსეთის კონფერენცია. ახლა სახალხო სახლში, სადაც კონფერენცია მუშაობდა, გაიხსნა ვ. ი. ლენინის მუზეუმი.

ლენინის დღეებისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩეხოსლოვაკიაში გადაიქცა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობის, ორივე ქვეყნის კომუნისტური პარტიების იდეური ერთობისა და შეკავშირების მანიფესტაციად. (საკდესი).

საგჭოთა დელეგაცია ალჟირში ჩავიდა

ალჟირი, 20 აპრილი. (საკდესი). ალჟირში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის არაბეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაცია საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გიგოშვილის მეთაურობით.

რა ანუხებს ამერიკელ კომერციელს

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. (საკდესი). ათი დღის საალდგომო არდადეგების დროს კონგრესმენებმა გამოარკვიეს, რომ ამომრჩევლებს შორის სულ უფრო იზრდება უკმაყოფილება მთავრობის პოლიტიკის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, გვატყობინებს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი.

კონგრესმენმა ლიოდ მიდსმა (ცაშინგტონის შტატი) განაცხადა, რომ ბევრი ამომრჩეველი, რომლებსაც იგი შეხვდა, მოითხოვდნენ ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გამოყვანას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან.

კონგრესის წევრმა ფლორენს დუაიერმა (ნიუ-ჯერსის შტატი) თქვა, რომ ვიეტნამის ომი მსჯელობის მთავარი თემაა მის ოლქში. „ხალხი არც თუ ისე კარგ გუნებაზეა“, — განაცხადა მან.

როგორც კონგრესმენმა ბაირონ როჯერსმა (კოლორადოს შტატი) აღნიშნა, ვიეტნამის ომმა შესაძრნევად შელახა ჯონსონის მთავრობის პოპულარობა.

გამართლებული შეშფოთება

ვაშინგტონი, 19 აპრილი. (საკდესი). სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა განაცხადა „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს თქვა: შემაფიქრიანა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლანდელმა კურსმაო.

სენატორი უაღრესად შეშფოთებულია იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერდება ომის ცეცხ-ცხელება და ამერიკელები, რომლებსაც ასეთი დიდი ძალა აქვთ, ესოდენ თვითდარწმუნებული არიან. როგორც მან თქვა, ამერიკელ ხელმძღვანელები ისე იქცევიან, თითქოს „ღმერთისაგან მიეღოთ მანდატი“.

სენატორმა ფულბრაიტმა თქვა, რომ თვითმპყრობელობასა და ძალის ბოროტად გამოყენებას აღრე თუ გვიან დამბობა მოპყვება. მას აშუბებს არა მარტოს, რომ განუწყვეტლივ ფართოვდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გალდებულებანი, რასაც შეიძლება მოყვეს კატასტროფული ომი აზიაში, არამედ აგრეთვე ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობის საერთო ხელმძღვანელობა სწორი გზით არ ირის წარმართული.

ინდირა განდის პრეს-კონფერენცია

დელი, 19 აპრილი. (საკდესი). საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტაშკენტის დეკლარაციას ინდოეთისა და პაკისტანისათვის, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ დღევანდელ თავის პირველ რეგულარულ პრეს-კონფერენციაზე. „ამ გადაწყვეტილი ბაჯის განვახორციელო ლონისძიებანი ტაშკენტის სულისკვეთებით“, — განაცხადა ინდირა განდიმ.

შეეხო რა საკითხს, მიზანშეწონილია თუ არა მისი შეხვედრა პაკისტანის პრეზიდენტ აიუბ ხანთან, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ საკითხი ასეთი შეხვედრის შესახებ განხილული არა ყოფილა. თუ ეს მიზანშეწონილი იქნება, დასძინა მან, დათანხმდები ასეთ შეხვედრას.

ვიეტნამის საკითხზე ინდირა განდიმ განაცხადა, რომ ინდოეთი გვლავ წინანდელ პოზიციას ადგას. „ჩვენ მხარს ვუჭერთ ჟენევის შეთანხმებებს“, — თქვა მან.

მდგომარეობა კენიაში

ნიუ-იორკი, 19 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ნაირობელი კორესპონდენტი გვატყობინებს, კენიის პარლამენტის 28 წევრმა დღეს გამოაცხადა, რომ გამოდის მმართველი პარტია კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირიდან.

ამ ჯგუფშია 10 სენატორი და პარლამენტის ქვედა პალატის 18 წევრი. პარტიიდან მათი გამოსვლის მიუხედავად, კენიის აფრიკელთა ეროვნულ კავშირს კვლავ უმრავლესობა აქვს კენიის პარლამენტის ორივე პალატაში.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ პარლამენტის ყველა წევრი, რომლებიც კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირიდან გამოვიდნენ, კენიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ოგინგა ოდინგას მომხრენი არიან. ამას წინათ ოგინგა ოდინგა გადადგა, რადგან არ ეთანხმებოდა მთავრობის პოლიტიკას.

პარიზი, 20 აპრილი. (საკდესი). კენიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ოგინგა ოდინგა არჩეულია ოპოზიციის ლიდერად კენიის პარლამენტში, ამას იტყობინება ფრანს პრესის საგენტოს ნაირობელი კორესპონდენტი. ოპოზიციის ლიდერის მოადგილედ არჩეულია კენიის მეორე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ბილდად კაგია. ამ დღეებში ოგინგა ოდინგა გადადგა კენიის ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან და გამოაცხადა, რომ გამოდის კენიის მმართველი პარტია კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირიდან, ამასთან დაკავშირებით, რომ არ ეთანხმება მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. პარლამენტის მეექვსე რიგის დეპუტატები — პარტია კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირის წევრები შეუერთდნენ ოდინგას და განაცხადეს, რომ გამოვიდნენ მმართველი პარტიიდან და შექმნეს ოპოზიციური ჯგუფი.

ინგლისი ავსტრიის ახალ მთავრობას

ვენა, 19 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი **ლ. ტუშვინი** გვატყობინებს:

დღეს ფედერალურმა პრეზიდენტმა ონბასმა ფიცი დაადებინა ავსტრიის ახალი „მთავრობის წევრებს. ყველა ისინი ავსტრიის სახალხო პარტიის წარმომადგენლები არიან. ავსტრიის სოციალისტური პარტია, რომელიც 20 წლის მანძილზე მონაწილეობდა წინანდელ მთავრობაში, იძულებულია შეუერთდეს საპარლამენტო ოპოზიციას.

ძალთა ახალი განლაგება ავსტრიის პოლიტიკურ ასპარეზზე ლგაკიურად 6 მარტს გაძართულ პარლამენტის არჩევნებში სოციალისტთა დამარცხების შედეგია. პარტია თავისა „სოციალური პარტნიორობის“ ორეოფული, შემთანხმებლური პოლიტიკის ნაყოფს იმკის.

ავსტრიის სახალხო პარტია, მიიღო რა არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობა, მაინც დასთანხმდა მოლაპარაკებაზე ავსტრიის სოციალისტურ პარტიასთან ახალი მთავრობის შექმნის შესახებ. იგი ოვალისწინებდა, რომ სოციალისტებს გარკვეული გავლენა აქვთ მშრომელთა შორის. გარდა ამისა, არ შეიძლებოდა 1,9 მილიონი ამომრჩეველის უგულებელყოფა, რომლებმაც ხმა მისცეს ავსტრიის სოციალისტურ პარტიას.

ავსტრიის სახალხო პარტიის ხელმძღვანელობას განზრახული აქვთ მომავალში მთავრობის გადაწყვეტილებათა მისაღებად გამოიყენონ აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში, აგრეთვე შეემცირებინა სოციალისტთა გავლენა ავსტრიის ნაციონალიზებულ მრეწველობაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ტელევიზიაში.

ავსტრიის სახალხო პარტიის ხელმძღვანელობა ვარაუდობდა, რომ სოციალისტები უარყოფენ ამ პირობებს და თვითონ შეუერთდებიან ოპოზიციას. სოციალისტებს რომ ავსტრიის სახალხო პარტიის პირობები მიეღოთ, მათს მონაწილეობას მთავრობაში მნიშვნელოვან წილად ფორმალური ხასიათი ექნებოდა, ხოლო მთელი ძალაუფლება სულ ერთია მაინც ავსტრიის სახალხო პარტიის ხელში იქნებოდა.

თითქმის ერთ თვეს გრძელდებოდა მოლაპარაკება, რომელსაც ეშირად საკმაოდ მწვავე ხასიათი ჰქონდა. ავსტრიის სახალხო პარტიის წარმომადგენლები არ აპირებდნენ უარის თქმას თავიანთ მოთხოვნებზე. ამ პირობებში სპეციალურად მოწვეულმა სოციალისტური პარტიის ყრილობამ აღნიშნა, რომ თუმცა სოციალისტები პრინციპულად უარს არ ამბობენ მონაწილეობდნენ მთავრობაში, მაგრამ ავსტრიის სახალხო პარტიის მიერ წამოყენებული პირობები მიუღებელია. ავსტრიის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა მთავრობაში და შეუერთდეს ოპოზიციას.

ავსტრალიელი ჯარისკაცები სამხრეთ ვიეტნამისათვის

ლონდონი, 19 აპრილი. (საკდესი). დღეს სიდნეიდან სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნა ავსტრალიელ ჯარისკაცთა ახალი ჯგუფი, იუწყება რეიტერის სააგენტო. ახლახან მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ავსტრალიის მთავრობა სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნის 4,5 ათას ჯარისკაცს.

როგორც სააგენტო იუწყება, რიჩმონდის ავიაბაზაში, საიდანაც ჯარისკაცები გაგზავნეს, დაწესდა უსაფრთხოების უმკაცრესი ღონისძიებანი. პოლიციის სპეციალური რაზმები ამოწმებდნენ თითოეულ ავტომანქანას, რომელიც ავიაბაზაში შედიოდა.

სხვადასხვა მეერიდიანგზე

▲ **ათენი**, 20 აპრილი. (საკდესი). საბერძნეთის ოპოზიციურმა პარტიებმა ცენტრის კავშირმა და ერთიანმა დემოკრატიულმა მემარცხენე პარტიამ გუშინ საღამოს პარლამენტში შეიტანეს სტეფანოპულოსის მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმი. ვოტუმი დასაბუთებულია იქით, რომ ამ მთავრობის ყოფნა ხელისუფლების სათავეში „კონსტიტუციისა და მორალური ნორმების დარღვევაა“.

▲ **ლონდონი**, 20 აპრილი. (საკდესი). იან სმიტის მთავრობამ გუშინ წინადადება მისცა ინგლისის მისიას სოლსბერიში მაისის შუა რიცხვებში დატოვოს სამხრეთ როდეზია, გვატყობინებს რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი სოლსბერიდან.

▲ **ნიუ-იორკი**, 20 აპრილი. (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკაში კვლავ იმართება საპროტესტო დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ, რომ დომინგოს რესპუბლიკაში არის ამერიკის საოკუპაციო ჯარები.

▲ **ანკარა**, 19 აპრილი. (საკდესი). სენტოს ქვეყნების მინისტრების სამეჯოს სესიის მუშაობაში მონაწილეობისათვის დღეს ანკარაში ჩამოვიდა ამერიკის შეეთანხმებული შტატების საგელეფონო და ტელეგრაფო ფედერალური კომპანიის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. კულეკმა.

შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დაიდო 1957 წელს. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირი სარის დაეხმარება ობიექტების მშენებლობასა და იმ სამუშაოთა წარმოებაში, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ სარის ეკონომიკისათვის.

ამ წლებში ბევრი რამ გაკეთდა. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით სარიაში აღმოაჩინეს ნავთობი — დიდი ეროვნული სიმდიდრე. გაბურღილი იყო 50 ათასზე მეტი გრძივი მეტრი ჭაბურღილები, აღმოაჩინეს სამი საბადო, რომლებიც საკმარისია სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. ახლა ჩვენი გეოლოგები

სირიას არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის იუსეფ ზუაინის ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ადამიანები მიიჩნევენ ახალ ნაბიჯად საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების. ორივე ქვეყნის უფრო მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის გზაზე, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. კულეკმა.

შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ დაიდო 1957 წელს. შეთანხმება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირი სარის დაეხმარება ობიექტების მშენებლობასა და იმ სამუშაოთა წარმოებაში, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ სარის ეკონომიკისათვის.

ამ წლებში ბევრი რამ გაკეთდა. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით სარიაში აღმოაჩინეს ნავთობი — დიდი ეროვნული სიმდიდრე. გაბურღილი იყო 50 ათასზე მეტი გრძივი მეტრი ჭაბურღილები, აღმოაჩინეს სამი საბადო, რომლებიც საკმარისია სამრეწველო ექსპლოატაციისათვის. ახლა ჩვენი გეოლოგები სირიელ ინჟინრებთან და მუშებთან თანამეგობრობით განაგრძობენ ნავთობის ძიებას.

სირიის ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი დარგია სოფლის მეურნეობა. ყანების მოსავლიანობის გასაიდუმლოდ ქალაქ ხომსში შენდება აზოტიანი სასუქების ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 110 ათასამდე ტონა აზოტიან სასუქებს. უწინარეს ყოვლისა ბამბის, მარცვლეულის და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მოსაყვანად.

სირიის ცენტრალური და ჩრდილოაღმოსავლეთი გვალვიანი რაიონების მეცხოველეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამოყრების გაწყლიერებისათვის გაწეულ სამუშაოებს. გაბურღილია 150-ამდე არტეზიული ჭაბურღილი, რომლებმაც წყალი დიდი სიღრმიდან ამოიყვანეს. სირიელი მეცხოველეები ამ წყალს ახლა „რუსულ წყალს“ უწოდებენ. მდინარე ორონტზე, რომელიც დიდმნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში გადის, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დახმარებით დაპროექტდა და აშენდა „ალბალი“ და ჰიდროელექტროსადგური „როსტანი“. ჰიდროელექტროსადგური ყოველწლიურად აწარმოებს 12,5 მილიონამდე კილოვატ-საათ ელექტროენერგიას. ამან შექმნა შესაძლებლობა გაეუმჯობესებინათ ხომსისა და ახლომახლო რაიონების ენერგომომარაგება. წყალსაცავი წყლით უზრუნველყოფს სარწყავ სისტემას ზაფხულის პერიოდში, როცა აქ ნალექი არ არის ხოლმე. ამის შედეგად ადგილობრივმა გლეხებმა არა მარტო გაზარდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, არამედ გაადიდეს კიდევაც სარწყავი მიწების ფართობი.

მრავალი წლის მანძილზე სირიელმა ხალხმა პრც კი იცოდა, რომ ამ ქვეყანაში არის სახარგებლო წიაღისეული. საბჭოთა გეოლოგებმა განახორციელეს აეროფოტო და აერომაგნეტური აგეგმვა, შეადგინეს სირიის პირველი გეოლოგიური რუკა. სირიის ეკონომიური განვითარებისა და ტექნიკური დახმარებით სირიაში ფართოდ ვითარდება რკინიგზის მშენებლობა. შემუშავებულია, კერძოდ, 770 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის პროექტი ჭალაქ ლატაკიიდან ჭალაქ კამიშლიმდე.

ამას წინათ ხელი მოაწერეს კონტრაქტებს მთელი რიგი სხვა რკინიგზის მაგისტრალების დაპროექტების შესახებ.

საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობა ვითარდება მეგობრულ ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე. ძირითადი პროდუქტი. რომელსაც სირია საბჭოთა კავშირს უგზავნის, ბამბაა. ჩვენ ვიღებთ აგრეთვე მარცვალს, ტუავის ნედლეულს, ბენზინსა და სხვა საქონელს.

საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც სირიელ ხალხს ეხმარებიან დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში, დიდი ენთუზიაზმითა და ენერგიით მუშაობენ. ისინი სირიელ ხალხს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს. (საკდესი).

საფრანგეთის ეროვნული სიამაყე



ლუვრი. ნარსულში ფრანგი მეფეების სასახლე — ლუდოვიკოებისა და ჰანრი ნავარიელის, „ბართლომეს ღამის“ უტყვი მოწმე, ახლა ადამიანის ხელით შექმნილი დიდი სილამაზის — ხელოვნების მსოფლიო შედევრების სავანეა. ეს ხელოვნების „მეკა“ იზიდავს ასეულ ათასობით ადამიანს, რომლებიც ისწრაფვიან თავიანთი თვალით იხილონ კაცობრიობის უდიდესი ქმნილებანი. ლუვრის მუზეუმი მხატვართა და მოქანდაკეთა შესანიშნავი სკოლაც არის. ახლა აქ სწავლობენ და ხვეწენ თავიანთ ოსტატობას, სარგებლობენ წარსულის უმდიდრესი მემკვიდრეობით.

ლუვრი XVI საუკუნეში აშენდა როგორც საფრანგეთის მეფეების რეზიდენცია, 1793 წელს კი კონვენტის დეკრეტით იგი მუზეუმად გარდაქმნეს და მას შემდეგ მსოფლიოს უდიდეს სამხატვრო საგანძურად ითვლება. მის უამრავ დარბაზში გამოფენილია ძველი ეგვიპტის, ანტიკური საბერძნეთის, ძველი რომის ხელნაბეჭდების, აღორძინების ეპოქის განსაცვიფრებელი ქმნილებანი — ქანდაკებები და ტილოები, რომლებიც მთელი ჩვენი პლანეტის ოქროს ფონდს შეადგენენ.

სურათებზე: ზემოთ — ლუვრის საერთო ხედი; შუაში — ერთ-ერთ დარბაზში; ქვემოთ — ფლაკრეას სურათთან „თავისუფლება ბარიკადებზე“. (საკდესის ფოტოქრონიკა.

იტალიელი კომუნისტები ემზადებიან კომუნალური არჩევნებისათვის

რომი, 19 აპრილი. (საკდესი). იტალიაში დაიწყო მზადება კომუნალური და პროვინციული საბჭოების არჩევნებისათვის. იტალიის თეთრ ოცდა ქალაქებსა და პროვინციებში არჩევნები გაიმართება 12 ივნისს.

რომში კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო ხალხმრავალი მიტინგით, რომელიც გაიმართა იტალიის დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში — ტრასტევერეში. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ჯ. ამენდოლამ.

ორატორმა ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცეს კომუნისტური პარტიის კანდიდატებს, რათა რომის მუნიციპალიტეტში შექმნან ახალი უმრავლესობა, რომელიც დაეურდნობა ფართო დემოკრატიულ წრეებს.

კომუნისტური პარტიის მიტინგები გაიმართა აგრეთვე იტალიის დედაქალაქის მთელ რიგ სხვა რაიონებში.

კომპარტია მხარს არ უჭერს ვ. რომეს მანიფესტაციას

პარიზი, 19 აპრილი. (საკდესი). დღეს გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სხდომა. სხდომის შემდეგ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ რომემ პრესისათვის გააკეთა განცხადება, რომელშიც ანმარტა ის მიზეზები, თუ რატომ არ უჭერენ მხარს კომუნისტები პომპიდუს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციას, რომელიც ეროვნულ კრებაში შეიტანეს სოციალისტური პარტიისა და „დემოკრატიული გაერთიანების“ დეპუტატებმა.

ეს უნდობლობის რეზოლუცია რომ ეხებოდეს მთავრობის საერთო პოლიტიკას, კერძოდ, მის ეკონომიურ და სოციალურ პოლიტიკას, განაცხადა ვ. რომემ, მაშინ ჩვენ ხმას მივცემდით ამ რეზოლუციას, რადგან საფრანგეთის კომუნისტური პარტია კვლავინდებურად მტკიცე ოპოზიციას უწევს პირადი ხელისუფლების რეჟიმსა და მის რეაქციულ პოლიტიკას. მაგრამ ხმას ვერ მივცემ ტექსტს, რომლის მიზანია დაგმოს საფრანგეთის ჯარების გამოყვანა ნატოს ამერიკის სარდლობიდან და შეინარჩუნოს ამერიკის სამხედრო ბაზები საფრანგეთში.

კოლექტიური უმუშაობის, საყოველთაო კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების პოლიტიკა უნდა იყოს საფრანგეთის მთელი მემარცხენე ძალების პოლიტიკა, ხაზგასმით აღნიშნა ვ. რომემ. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას, თავის მხრივ, სურს, რომ ყველა მემარცხენე პარტიამ იხმაროს ღონისძიებანი, რათა შეთანხმდნენ და ამით შეიმუშაონ პოზიციური პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება საფრანგეთისა და მშვიდობის ინტერესებს.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 20 აპრილი. საკდესის კორ. **ვ. კრასიკოვი** გვატყობინებს:

გუშინ საღამოს საფრანგეთის ეროვნულ კრებაში გაიმართა კამათი მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლუციის გამო, რომელიც ერთი კვირის წინათ შეიტანეს დეპუტატებმა სოციალისტური პარტიისა და „დემოკრატიული გაერთიანებისაგან“.

კამათში პირველი გამოვიდა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი გი მოლე. მან ხაზი გაუსვა, რომ უნდობლობის რეზოლუცია უწინარეს ყოვლისა შეეხება საფრანგეთის ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკას და, კერძოდ, მის გადაწყვეტილებას — გაიყვანოს შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან.

გი მოლემ განაცხადა, რომ თვითონ და მისი თანამოაზრეები მოითხოვენ ამერიკის სამხედრო ბაზების დატოვებას დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე და, კერძოდ, საფრანგეთში.

პომპიდუს მთავრობის საგარეო პოლიტიკა გააკრიტიკეს აგრეთვე „ცენტრისტებმა“ მორის ფორმა და ჟოზეფ ფონტანემ.

მთავრობის პოზიციის დასაცავად ეროვნული სიტყვა წარმოთქვა ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მორის შუმანმა.

მმართველი პარტიის ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის — შრომის დემოკრატიული კავშირის წარმომადგენელმა რენე კაპიტანმა ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთი უნდა გამოვიდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო ორგანიზაციიდან, თუ არ სურს ჩაებას კონფლიქტებში, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა მის ეროვნულ ინტერესებთან. რ. კაპიტანი შეეხო ომს, რაც ვიეტნამში ხდება, და თქვა, რომ „შეერთებული შტატები არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან“, როცა სამხრეთ ვიეტნამის „დაცვის“ ალმით გამოდიან. მაგრამ ეს „დაცვა“ პრაქტიკულად მხოლოდ იმით გამოიხატება, რომ „თანდათანობით ანგრევენ იმას, რასაც იცავენ“. ამასთან დაკავშირებით, განაგრძო ორატორმა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ევროპაშიც არის ორად გაყოფილი ქვეყანა. ეს არის გერმანია, რომლის დასავლეთ ნაწილის „დაცვას“ ამერიკის შეერთებული შტატები იმგვარადვე ახორციელებენ, როგორც სამხრეთ ვიეტნამს „იცავენ“.

ჩვენ იმის შიმბრე ვართ, განაცხადა რენე კაპიტანმა დასასრულ, რომ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა დამყარდეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის, და ვიცავთ ჩვენი ქვეყნების ხალხთა ნამდვილ მეგ

წერილი „ბაკურიანიდან“

დღესდღეობით ზღვებსა და ოკეანეებს სერავს ათასობით გემი, რომლებსაც ამაყად მიაქვთ პლანეტის გარშემო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის დროშა. ყოველ მათგანს აქვს თავისი სახელწოდება — ერთი ან ორი მოკლე სიტყვა, რომელიც გამოჰყოფს მას სხვა მსგავსი ათასებისაგან. ზღირ შემთხვევაში ეს მხოლოდ სიმბოლოა, რომელიც ოგიეთი ნომრის როლს ასრულებს, ზოგჯერ კი მას ჩვენი ქვეყნის რომელიმე ქალაქის სახელწოდება მიაკუთვნებენ. ეს ერთი მხრივ ქალაქის ღიმსებაც არის, და მეორე მხრივ, ხომალდისაც, რომლის ეკიპაჟიც ვალდებულია წმიდად დაიცვას ამ ქალაქის ყველა კარგი ტრადიცია.

ჩვენ გემს ჰქვია „ბაკურიანი“. ეს პატარა დიზა საყოველთაოდ ცნობილია არა მარტო საქართველოს რესპუბლიკაში, არამედ სპორტის ყველა მოყვარულისათვისაც როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ბევრი უცხოელისათვის, ვინც ჩვენს გემზე ყოფილა, ნაცნობია ბაკურიანი. ისინი მას იცნობენ ძირითადად ბაზეთებიდან და სპორტული ეკურსიებიდან და ბევრ ადამიანს ამ ბაკურიანის სახელ. ...ყობთ, რომ გემი, რომელიც მეზღვაურთათვის ფაქტიურ სახლად ითვლება, ატარებს დიდ ბაკურიანის სახელს, იმ ადგილის სახელს, სადაც ცხოვრობენ ძალიერი და მამაცი ადამიანები. „ბაკურიანის“ ეკიპაჟი სიმპათიით არის. განწყობილი ამ დიდს მშრომელებისადმი, რომელთა დელეგაცია ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენს გემს ესტუმრა.

ჩვენ გვწამს, რომ ასეთი მოგზაურობის განხორციელება ნოვოროსიისკის ნავსადგურამდე, რომელიც 800 კილომეტრით ოთის დაშორებული ბაკურიანს, შეეძლოთ ადამიანებს, რომლებსაც გულწრფელად სურდათ გაცხობოდნენ გემს და მის ეკიპაჟს.

ბაკურიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ მიქაბერიძემ და სხვა ამხანაგებმა მოგვითხრეს ბაკურიანელთა შრომითს საქმიანობაზე, გაგვაცნეს ქართული სიმღერები და ცეკვები შეხვედრებმა და საუბრებმა, რომლებიც გემზე მოიწყო, დასაბამი მისცა დიდ ბაკურიანის მშრომელებისა და „ბაკურიანის“ მეზღვაურთა მეგობრობას. ახლა „ბაკურიანი“ შორეული რეისისათვის ემზადება.

„ბაკურიანის“ ეკიპაჟი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ღირსეულად ატაროს დიდ ბაკურიანის სახელი.

ი. პოტაპოვი.

თბილისელ „ბაკურიანის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე.

სასიამოვნო სიახლენი

☐ **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელს კიდევ ერთი ახალი ობიექტი შეემატა — ოსმონავტების ქუჩაზე, მინის ტარის ქარხნის მუშათა დასახლების რაიონში საექსპლოატაციოდ გადაეცა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მექანიზებული სამრეცხაო. იგი ცვლაში ორ ტონა თეთრეულს გაატარებს.

☐ **ზესტაფონი.** (საკ. კორ.). სოფელ მეორე სვირის აფთიაქი შეეფერებელ ბინაში იყო მოთავსებული. ახლახან კი აფთიაქისათვის ახალი ძეთილმოწყობილი შენობა აიგო.

☐ **წითელწყაროს** რაიონის კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას უთმობენ მინდვრად მომუშავე კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას.

კოლმეურნეობამ მეძროხეობის ფერმის ოლეს ტერიტორიაზე, სადაც ნ საწარმოო ბრიგადაა, მწყემსებისათვის გახსნა კლუბი.

ბ. კაკალაშვილი.

☐ **შუახევის** რაიონის სოფელ ბარათაულში გაიხსნა ახალი საფოსტო განყოფილება, რომელიც ემსახურება ცენტრალძეების, წანკალაურის, გომარდულის, ვანის, ზემოხევის მოსახლეობას.

შ. დარსაველიძე.

საბჭოთა სახანძრო დაცვის დღის აღსანიშნავად

ქერთინსკის სახელობის კლუბში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისა და სახანძრო დაცვის მუშაკთა შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა სახანძრო დაცვის დღეს.

საღამო გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ჩოფიკაშვილმა.

მოხსენება — „ხალხის ქონების დაცვა ხანძრისგან მთელი საზოგადოებრიობის საქმეა“ გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **გ. გოშაძემ.**

ცალკეული ორგანიზაციები, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე აქტივისტები და ვეტერანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სახანძრო უსაფრთხოების სატეხნიკო ორგანიზაციისათვის შეკიბრებაში, დაჯილდოვდნენ საქართველოს ნეგაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს საპატიო სიგელებით.

სიგელები და ფულადი პრემიები გადაეცათ აგრეთვე კონკურსში გამარჯვებულთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბრიგადის, ბინათმმართველობის, ...ბ. ...ის, ...ბ. ...ის, ...ბ. ...